19/08/2021

სატენდერო წინადადება

Tbilisi Hills Golf & Residences არის უმსხვილესი, დეველოპერული პროექტი, რომელსაც ანალოგი არ აქვს ქართულ ბაზარზე, ვინაიდან იგი ერთ სივრცეში აერთიანებს პრემიუმ კლასის საცხოვრებელ კომპლექსებსა და პროფესიული გოლფის კლუბს საერთაშორისო დონის მოედნებით. კომპლექსი მდებარეობს სოფელ თელეთში, კრწანისის რაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და მოიცავს 331 ჰექტარს. პროექტის ფარგლებში 380 კერძო სახლის, 73 დაწყვილებული სახლის, 20 ხუთსართულიანი შენობის მშენებლობას, სადაც განთავსებული იქნება 800 მდე აპარტამენტის ტიპის ბინა. ამასთან ერთად კომპანია ახოციელებს ისეთი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას როგორიც არის შიდა სარგებლობის გზები, პარკინგები, ენერგო და წყალმომარაგების ხაზოვანი ნაგებობები, საერთო სარგებლობის სივრცეები და შენობები. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობის Tbilisi Hills Development and Construction LLC მართვისა და ზედამხედველობის ქვეშ. მშენებლობისას გამოიყენება მხოლოდ მაღალი ხარისხის სამშენებლო მასალები და თანამედროვე ტექნოლოგიები რაც უზრუნველყოფს პროექტის წარმატებას.

Tbilisi Hills Development and Construction LLC აცხადებს ტენდერს 5 სართულიანი საცხოვრებელი შენობის სამშენებლო სამუშაოებზე.

ტენდერის მიზანი

ტენდერი გამოცხადებულია Tbilisi Hills Development and Construction LLC მიერ 5 სართულიანი საცხოვრებელი შენობის კონსტრუქციული ნაწილის, შიდა და გარე კედლების მშენებლობაზე, რომელიც მდებარეობს თბილისი ჰილს გოლფ ენდ რეზიდენსის ტერიტორიაზე.

ტენდერი მოიცავს სამშენებლო სამუშაოების შესრულების სამუშაოებს, მასალებით და ყველა საჭირო მანქანა-დანადგარების გამოყენებას, რაც საჭიროა პროექტის განსახორციელებლად.

ტენდერის სტრუქტურა

თბილისი ჰილსი მართავს ტენდერს 2 ეტაპად.
პირველი ეტაპი მოიცავს ინტერესის გამოხატვას, დაინტერესებული კომპანიის მხრიდან საჭირო ინფორმაიის წარდგენას, მათ შორის კომპანიის გამოცდილებაზე, პირველად შეთავაზებას, რაც კლიენტს დაეხმარება შემდგომში გადაწყვეტილების მიღებაში.
მეორე ეტაპი გაიმართება იმ მონაწილეებისთვის, ვინც იქნება შერჩეული პირველი ეტაპის ფარგლებში. დამკვეთი დაიწყებს არსებული მოცულობების, ხარჯთაღრიცხვის, გეგმა-გრაფიკის, მეთოდოლოგიის, შრომის უსაფრთხოების მეთოდოლოგიის დეტალურ განხილვას, რომელიც გახდება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

19/08/2021

ტენდერში მონაწილეების კვალიფიკაცია

ტენდერში მონაწილეები უნდა იყვნენ სამშენებლო კომპანიები, რომლებსაც აქვთ მსგავსი პროექტების განხორციელების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება.

პროექტის აღწერა

პროექტის მართვას განახორციელებს თბილისი ჰილს დეველოპმენტ ენდ კონსტრაქშენის სამშენებლო ჯგუფი. კონტრაქტორი პასუხისმგებელი იქნება 6004 კვმ-ის რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მშენებლობაზე. მათ შორის, საძირკველის, ფილების, სვეტების, ლიფტის შახტის და სხვა ელემენტების მშენებლობაზე, რაც მოცემულია პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში.

კონტრაქტორი ასევე ვალდებულია ააშენოს ბეტონის ბლოკით შენობის გარე და შიდა კედლები. გარე კედლების საერთო ფართია 1 662.14მ2, ხოლო შიდა კედლების 3 157.53მ2. წარმოდგენილი მოცულობები შესაძლოა შეიცვალოს მცირედით დაგეგმვის მეორე ეტაპზე.
კონტრაქტორი მიიღებს გამზადებულ ტერიტორიას შემდგომი საქმიანობების განსახორციელებლად. კერძოდ, გათხრილ საძირკველს, შემოსაზღვრულ სამშენებლო მოედანს, დენი წყაროთი და განათებით, სასმელი წყლით (დამონტაჟებული იქნება წყლის მრიცხველი) და ტუალეტით აღჭურვილ საკანალიზაციო სისტემით.
კონტრაქტორი კი თავის მხრივ ვალდებული იქნება სამშენებლო ობიექტზე წარმოადგინოს დროებითი სამშენებლო ოფისი აღჭურვილი Wi-Fi სისტემით და საწყობი. ასევე უნდა უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტზე მასალების და აღჭურვილობის დაცვა. (სამშენებლო ობიექტის ღობის შიგნით და გარეთ).

1. **სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- კომპანიის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, იურიდიული და ფაქტიური მისამართი ოფიციალური ელექტრონული ფოსტა;
- მინიმუმ 2 (ორი) საკონტაქტო პირის სახელი და გვარი, საკონტაქტო ტელეფონის, მათი ელექტრონული ფოსტისა და თანამდებობის მითითებით;
- ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ, საიდანაც უნდა იკვეთებოდეს, რომ პრეტენდენტს არ გააჩნია აღიარებული დავალიანება ბიუჯეტის მიმართ, ამასთან არაღიარებული საბიუჯეტო დავალიანება არ უნდა აღემატებოდეს ცნობაში დაფიქსირებულ ზედმეტობის თანხას.
- კომერციული შეთავაზება უნდა იყოს წარმოდგენილი კლიენტის მიერ მოწოდებული მოცულობათა უწყისის (BOQ) შესაბამისად;
- ინფორმაცია სამუშაოების შესრულების პირობებსა და გარანტიაზე;
- შესასრულებელი სამუშაოების დეტალური გეგმა-გრაფიკი;
- განხორციელებული მსგავსი პროექტების ჩამონათვალი, დამკვეთის, პროექტის ღირებულებისა და პერიოდის მითითებით. (Standard form B 1.2)
- ორი განსხვავებული კლიენტის სარეკომენდაციო წერილების ასლები ან ორიგინალები გასული სამი წლის განმავლობაში არსებული, უკვე შესრულებულ ან მიმდინარე

პროექტებისათვის, რომელიც ადასტურებს ანალოგიური პროექტის განხორციელების გამოცდილებას.

- პროექტის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა
- ძირითადი თანამშრომლების რეზიუმე. (წარმოდგენილი მიმაგრებული ფორმატით Standard form B 1.4)
- სატენდერო წინადადებაში ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული და შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2. ტენდერში მონაწილეობისათვის აუცილებელი ფინანსური პირობები

- ტენდერში მონაწილე იურიდულ პირს 2017 წლის 01 იანვრიდან სატენდერო წინადადების წარდგენის თარიღამდე პერიოდში შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური სახის, კერძოდ სამოქალაქო სამშენებლო სამუშაოები რომელთა ჯამური ღირებულება უნდა იყის არანაკლებ 2 000 000 ლარისა. (ორი მილიონი ლარი)

3. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

თბილისი ჰილს დეველოპმენტ ენდ კონსტრაქშენი სამუშაოების შესრულების თარიღად მოიაზრებს არაუგვიანეს 2021 წლის 25 დეკემბრისა.

კონტრაქტორს ექნება საშუალება სამშენებლო სამუშაოები განახორციელოს კვირაში 6 დღე. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით სამუშაო დრო განსაზღვრული იქნება 08:00 დან 20:00მდე. ხოლო შაბათს 10:00 დან 20:00მდე. გამონაკლისი დაშვებული იქნება ისეთი სამუშაოებისთვის, რაც მოითხოვს განუწყვეტელ მუშაობას, ასეთ შემთხვევაში წინასწარ უნდა მოხდეს დამკვეთთან შეთანხმება.

სამუშაოების შესრულების ადგილი: თბილისი ჰილს გოლფ ენდ რეზიდენსი, სოფელი თელეთი; გარდაბნის მუნიციპალიტეტი, საქართველო.

4. სამუშაოს მიღება

ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები შესრულებულად და ჩაბარებულად მიიჩნევა დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერის შემდგომ.

სამუშაოების სრულად შესრულების და მიღების საფუძველზე მხარეებმა უნდა გააფორმონ საბოლოო მიღების-ჩაბარების აქტი.

5. ქვეკონტრაქტორები და სხვა კონტრაქტორები

კონტრაქტორს შეუძლია სამუშაოების ნაწილი შესასრულებლად გადასცეს ქვე კონტრაქტორს, დამკვეთთან (თბილისი ჰილს დეველოპმენტ ენდ კონსტრაქშენთან) წინასწარი შეთანხმების შემდეგ. ქვეკონტრაქტორზე უცვლელად გადადის კონტრაქტორის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ქვე კონტრაქტორზე შესაძლებელია გადაცემული იქნას სამუშაოების არაუმეტეს 50% -სა .

6. დაზღვევა

პრეტენდენტი ვალდებულია თავისი ხარჯებით მოახდინოს შესაბამისი სადაზღვეო პოლისების შეძენა, რაც დაკავშირებული იქნება სამშენებლო სამუშაოების შესრულებასთან. მათ შორის უნდა იყოს დაზღვეული ობიექტზე დასაქმებული პერსონალი, სატრანსპორტო საშუალებები. სადაზღვეო კომპანია უნდა იყოს ლიცენზირებული და კლიენტის მხრიდან დადასტურებული.

7. გადახდის პირობები

ანგარიშსწორება წარმოებს დამკვეთის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ მიღება-ჩაბარების ხელმოწერის შემდეგ 7 კალენდარული დღის ვადაში. პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს გადახდის უკეთესი პირობები, რომელიც იქნება შემდგომში კონკურენტული უპირატესობა.

შესაბამისი ღირებულების სამუშაოების და მიღება-ჩაბარებების შემდეგ, შესრულებული თანხის 10% იქნება დაკავებული თითოეული გადახდიდან, რომელიც ანაზღაურდება სამუშაოების სრულად დასრულების და საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდეგ.

8. გარანტია

ტენდერში მონაწილე პირი ვალდებულია მიუთითოს ინფორმაცია საგარანტიო ვადასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად საგარანტიო პერიოდი არ უნდა იყოს არანაკლები 24 თვისა (სამუშაოების დასრულებიდან).

9. ფინანსური გარანტია

ტენდერში მონაწილე პირი ვალდებულია მიუთითოს ინფორმაცია შესრულების ვადების თაობაზე და წარმოადგინოს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკი, რომელიც წარმოადგენს სამომავლოდ გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
ტენდერში მონაწილე პირი ვალდებულია წარმოადგინოს ინფორმაცია საავანსო მოთხოვნის თაობაზე და ასეთის არსებობის შემთხვევაში წარმოადგინოს შესაბამისი საბანკო გარანტია;
ავანსის მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედება ძალაში იქნება საავანსო თანხის შესაბამისი ღირებულების სამუშაოების შესრულების აღიარების ვადამდე, რომელიც დადასტურდება სუბიექტებს შორის ზემოთ განსაზღვრული წესის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით.;
ტენდერში მონაწილე პირი ვალდებულია წარმოადგინოს სამუშაოს შესრულების საბანკო გარანტია რომლის საერთო ღირებულება იქნება კომპანიიასთან გაფორმებული სახელშეკრულები ღირებულების არანაკლებ 10% (ათი პროცენტი)-სა, ხოლო მოქმედების ვადა იქნება არანაკლებ 18 თვისა და აითვლება დასკვნითი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების თარიღიდან.
გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულებიდან ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის" მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიიდან, აშშ დოლარში დაფიქსირებული, გარანტიის გაცემის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსის მიხედვით.

10. პასუხისმგებლობა

გადახდის ვადების დარღვევსთვის დამკვეთი თითო გადაცილებულ დღეზე გადაიხდის ჯარიმას 0,3% ის ოდენობით მიმდინარე ასანაზღაურებელი თანხიდან.

ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსრულებელი დაჯარიმდება საერთო საკონტრაქტო ღირებულების 0,3 % ით თითოეულ დღეზე გაანგარიშებით.

11. გარემოს დაცვა და უსაფრთხოება

სამუშაოს შესრულების დროს აუცილებელია როგორც სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა ისე სახელმწიფო უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ნორმატიული აქტების მოთხოვნების გათვალისწინება. კონტრაქტორი ვალდებულია დაიცვას უსაფრთხოება სამუშაოების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე. კონტრაქტორმა უნდა განახორციელოს თავისი ოპერაციები უსაფრთხოების, შრომის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის ყველა მოქმედი წესის დაცვით ადგილზე, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტი დაუყოვნებლივ უნდა იყოს ინფორმირებული იმ

შემთხვევაში, თუკი კონტრაქტორის სამუშაო შეიცვავს მაღალ რისკებს გარემოზე და სოციალურ ზემოქმედებაზე. უნდა მოხდეს შეთანხმება სიტუაციის მართვის სათანადო ზომების შესახებ.

12. სატენდერო წინადადება და ხელშეკრულება

სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
კონტრაქტი გაფორმდება ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც უპირატესობა მიენიჭება ინგლისურ ენას.

13. სამუშაო ადგილის მომზადება

კონტრაქტორი პასუხისმგებელია:
• შეასრულოს სამუშაოები შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვით;
• უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე გარემოზე ზემოქმედების შემცირება
• მინიმუმამდე დაიყვანოს სამუშაოსთან დაკავშირებული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის ზემოქმედება გარემოზე.

14. შემოთავაზება

სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 06 სექტემბრის 16.00 საათისა.

სატენდერო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ბეჭდვითი სახით (1 ეგზემპლარი) და ელექტრონული სახით (ინფორმაციის მატარებელი მყარი მოწყობილობა).

სატენდერო დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი დალუქული კონვერტით.

სატენდერო დოკუმენტაციის ბეჭდვითი ეგზემპლარი უნდა იქნას დამოწმებული კომპანიის დირექტორის ხელისმოწერითა და კომპანიის ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სატენდერო დოკუმენტაციის წარმოდგენისას განფასებები და გრაფიკებისათვის უნდა იქნას გამოყენებული Excel ან/და Microsoft project ფორმატი, ხოლო ყველა სხვა დოკუმენტაციისათვის PDF ფორმატი.

წინადადება ძალაში უნდა იყოს წარმოდგენის თარიღიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

თანდართული ფაილები:

1. **არქიტექტურული ნახაზები**
2. **კონსტრუქციული ნახაზები**

19/08/2021

3. მოცულობათა უწყისი
4. HSE რეგულაციები
5. სტანდარტული ფორმები

თბილისი ჰილლსი არ ანაზღაურებს ტენდერში მონაწილეობისათვის დოკუმენტების მომზადებისთვის გაწეულ ხარჯებს.

წინადადების წარდგენის ბოლო ვადაა: **2021 წლის 6 სექტემბერი 16:00 (საქართველოს დროით).**

Tbilisi Hills Development and Construction LLC მზადა არის გამართოს სამუშაო/განმარტებითი შეხვედრები დაინტერესებულ კომპანიების წარმომადგენლებთან და უზრუნველყოს სამუშაო მოედნის დათვალიერება. შეხვედრების ორგანიზება უნდა მოხდეს არაუგვიანეს 2021 წლის 3 სექტემბრისა. დამატებითი ინფორმაციისთვის და ვიზიტის დასაგეგმად დაგვიკავშირდით შემდეგ ნომრებზე: +995 599 39 00 05; +995 598 29 99 91